საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №2

2026 წლის 13 მარტი, 13:00 საათი
ფორმატი: დისტანციური (პლატფორმა Zoom)

სხდომას ესწრებოდნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

აკადემიური პერსონალი: პროფ. მაია მარგველაშვილი, ასოც. პროფ. ვასილ ლიპარტელიანი, ასოც. პროფ. მაგდანა ბზიკაძე, ასოც. პროფ. მურად ფახურიძე, ასოც. პროფ. დავით ობოლაძე, ასოც. პროფ. ნიკოლოზ გოგოლაძე, ასოც. პროფ. მალხაზ ბიბილური, ასოც. პროფ. დავით დუგლაძე, ასისტენტ- პროფესორი შოთა გოგიტაური;

სტუდენტები: ელენე ტაბლიაშვილი;

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: სოსო ხატიაშვილი (სტუდენტი) და სანდრო ზაქაიძე (სტუდენტი);

კვორუმი: სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა ფაკულტეტის 10 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევა;
2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადებისა და საარჩევნო პროცედურების ვადების განსაზღვრა;
3. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში კანდიდატების არჩევნების გამოცხადება;
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება.

სხდომა გაგრძელდეს დღის წესრიგის შესაბამისად.

I საკითხი: ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევა

მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა მაგდანა ბზიკაძემ სხდომის თავმჯდომარის პოზიციაზე წამოაყენა ვასილ ლიპარტელიანის კანდიდატურა.

გადაწყვიტეს: ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად (10 მომხრე, 0 - წინააღმდეგი) იქნა არჩეული ასოცირებული პროფესორი **ვასილ ლიპარტელიანი.**

II საკითხი: ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადებისა და საარჩევნო პროცედურების ვადების განსაზღვრა

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დეკანის არჩევნების დანიშვნის საორგანიზაციო კალენდარი:

1. **სპორტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ფაკულტეტის** დეკანის არჩევნები დაინიშნოს **2026 წლის 22 მაისს** (12:00 საათიდან 17:00 საათამდე);
2. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2026 წლის 17 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით** სსიპ. საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქ. თბილისი ეგნატე ნინოშვილის №55, მე-3 სართული).
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
4. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ აკადემიური საბჭოს თანხმობა (განცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 30 აპრილი).

გადაწყვიტეს: ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, საბჭომ ერთხმად (10 მომხრე, 0 - წინააღმდეგი) დაამტკიცა დეკანის არჩევნების ვადები და პროცედურა.

III საკითხი: უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში კანდიდატების არჩევნების გამოცხადება

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალი ფაკულტეტის შექმნის გამო, აუცილებელია აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის 3 წარმომადგენლის არჩევა.

1. არჩევნები დაინიშნოს **2026 წლის 16 აპრილს** (12:00 საათიდან 17:00 საათამდე);
2. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2026 წლის 17 აპრილიდან 23 მარტის ჩათვლით** სსიპ. საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქ. თბილისი ეგნატე ნინოშვილის №55, მე-3 სართული).
3. ფაკულტეტს აკადემიურ საბჭოში ყავს 3 წარმომადგენელი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი).

გადაწყვიტეს: ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, საბჭომ ერთხმად (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) დაამტკიცა ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წევრობის კანდიდატთა არჩევნების საორგანიზაციო ვადები.

IV საკითხი: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ წარადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის პირობები და ვადები:

1. კონკურსი გამოცხადდეს **2026 წლის 16 მარტს;**
2. საბუთების მიღება განხორციელდეს **2026 წლის 17 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით** სსიპ. საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის. ქ. თბილისი ეგნატე ნინოშვილის №55, მე-3 სართული);

3. არჩევნები დაინიშნოს **2026 წლის 16 აპრილს;**
4. კანდიდატებმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე უნდა წარადგინონ ფაკულტეტის ხარისხის განვითარების კონცეფცია. ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით.

გადაწყვიტეს: ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, საბჭომ ერთხმად (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) დაამტკიცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების საორგანიზაციო ვადები და პირობები.

სხდომის თავმჯდომარე: _____ / ვ. ლიპარტელიანი /

სხდომის მდივანი: _____ / მ. ბზიკაძე /